ქართული ქრონიკა

№ 40

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

10 ივნისი

1989

გამოდის 1988 წლის 10 მაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოსკოვში ამ დღეებში მიმდინარე ყრილობად წოდებული ფარსის მიმართ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია გამოიხატა დეპეშაში, რომელიც გაეგზავნა სკკპ ცკ გენერალურ მდივანს მ. გორბაჩოვს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის სახელით. ვაქვეყნებთ ამ დეპეშის ტექსტს:

სკკპ ცკ გენერალურ მდივანს
მ. გორბაჩოვს

გამოვხატავთ ჩვენს პროტესტს იმ კომედიასთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ ყრილობას უწოდებთ. ქართველი ერის სახელით გიცხადებთ - საქართველოში 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიაში ჩვენ ბრალს გდებთ თქვენ პირადად და თქვენი სახით საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც განიარაღებას გამოხატავს იმით, რომ ხარჯავს თავის ტყვიებსა და ქიმიურ ნივთიერებებს მის მიერვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ "ყრილობას" კვლავ ესწრებიან ისინიც, ვისაც ჯერ მთლად არ დაუკარგავს პატიოსნება, ადამიანობა, ელემენტარული ჰუმანურობა(ჯერჯერობით "ყრილობა" მხოლოდ ერთმა კაცმა დატოვა):

ის, რაც დღეს "ყრილობაზე" ხდება, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენი პოზიციის სისწორეს - სრული ბოიკოტი არჩევნებს.

ყოველი ადამიანის ვალია, თუ მას ჯერ კიდევ შეიძლება ადამიანი ეწოდოს, დაუყონებლივ დატოვოს "ყრილობა" და ამით მაინც გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ ფარსისადმი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი: გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ირინა სარიშვილი, გურამ ჩარხვაძე, ვანო ხუხუნაიშვილი, გიორგი ახალაია, თენგიზ გუდავა (აშშ).

……………

ესტონეთში აპრილის თვეში ჩატარდა საბჭოთა კავშირში არსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა წარმომადგენელთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაცია. ვაქვეყნებთ ამ თათბირის მასალებს:

მიმართვა

ჰელსინკის შეხვედრის მონაწილე ქვეყანათა მეთაურებს

ერთაშორისი პრობლემების განმხილველი თათბირი ლოოდში (ესტონეთი) საქართველოს შესახებ მასალების შესწავლის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა ჯარებისა და ხალხის შეჯახებას, და რომ ადამიანები დაიღუპნენ არა წარმოქმნილი ჭყლეტის გამო, როგორც ამას ცდილობდა წარმოედგინა საბჭოთა ოფიციალური პროპაგანდა, არამედ ეს იყო ნამდვილი გენოციდი წინასწარ მომზადებული პროგრამით. ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი დოკუმენტი და ვიდეოფირი.

მოსკოვის პოლიტიკა ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით. ყველა ამ ხალხთან ურთიერთობა ეფუძნებოდა ძალადობას, რომლის მიზანი იყო მათი ფიზიკური თუ სულიერი განადგურება. 30-იან წლებში ხელოვნური შიმშილობის გზით გაანადგურეს მილიონობით უკრაინელი; საბჭოთა ტანკებმა 40-იან წლებში მიწასთან გაასწორეს ბალტიისპირეთის ქვეყნების სახელმწიფოებრიობა. ომის შემდეგ დაიწყო ბალტიისპირეთის, უკრაინის, სომხეთისა და სხვათა ძირეული მოსახლეობის მასიური გასახლება, რომელთა უმრავლესობამ ციმბირში დაასრულა სიცოცხლე.

თათრები სამშობლოს გარეშე დარჩნენ.

ჩრდილოეთის ხალხები - სამშობლოსა და ენის გარეშე.

უკანასკნელ წლებში მოსკოვმა მოაწყო მორიგი პროვოკაცია სომხეთსა და აზერბაიჯანის ერთაშორისი კონფლიქტის სახით, რომლის შედეგად დაიღუპა უამრავი ადამიანი, ათასობით ადამიანს წაერთვა სამშობლო, სახლ-კარი. ამ რესპუბლიკებში ახალი ჯარები შეიყვანეს, ახლებური ძალით დაიწყეს სომხეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა.

9 აპრილს საბჭოთა ტანკები დაუპირისპირდა მშვიდობიან დემონსტრანტებს თბილისში. ჯარისკაცთა ხელით დაიხოცა ათობით ქართველი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. ის, რაც საქართველოში მოხდა, ბარბაროსობაა. ამის გაკეთება მხოლოდ ტოტალიტარულ, არადემოკრატიულ რეჟიმს შეუძლია. ყველასათვის ცხადი გახდა, თუ რა არის "გარდაქმნა" სსრკ-ში.

ჩვენ, ლოოდის თათბირის მონაწილენი, მოგმართავთ ჰელსინკის შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურებს მოთხოვნით, აღძრათ საქმე ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში კრემლის წინააღმდეგ იმპერიაში შემავალ ხალხთა წინაშე ჩადენილი დანაშაულებისათვის.

მოვითხოვთ დემოკრატიული თავისუფლების აღდგენასა და დაცვას, პირველ რიგში ყოველი ერის თავისუფლებას თვითგამორკვევაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა ან აღდგენის ჩათვლით.

მხოლოდ ეს გზა თუ გვიხსნის კატასტროფისაგან.

……………………………………

საბჭოთა კავშირში არსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა წარმომადგენელთა თათბირის

რეზოლუცია

საბჭოთა კავშირში პოლიტიკური მდგომარეობის განვითარება უკანასკნელ წლებში ცხადყოფს, რომ საბჭოთა უნიტარული სახელმწიფო გამუდმებულ კრიზისულ მდგომარეობაშია და კატასტროფის წინაშე იმყოფება. მით უმეტეს, ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მომავალშიც ძალადობითა და სიყალბით შეინარჩუნოს უკანასკნელი კოლონიური იმპერიის დამყაყებული საყრდენი. ამდენად, იგი თავს არიდებს კარდინალური დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებას. ამ მდგომარეობაზე კონკრეტულად პასუხისმგებელია სკკპ ცკ-სა და პოლიტბიუროს მეთაურობით, აგრეთვე პროვინციული ქვეორგანიზაციები.

წარმომადგენელთა თათბირი, დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გაანალიზების შემდეგ, ადგენს:

1. თათბირი აღშფოთებითა და რისხვით აცხადებს, რომ სახელმწიფო ტერორი 1989 წლის 9 აპრილს საქართველოში წარმოადგენს გენოციდს, ადამიანისა და ერის უფლებათა შელახვას, მთავრობის მხრიდან XX საუკუნის დამღუპველ ბარბაროსობას, მთავრობისა, რომელიც თავის თავს სამართლებრივი და ჰუმანური სახელმწიფოს მშენებლად აცხადებს. უმწეო ქალებისა და ბავშვების ხოცვა მოსკოვიდან პირდაპირი ბრძანების გარეშე ვერ აღსრულდებოდა. ჩვენ მოვითხოვთ, დაუყონებლივ გამოქვეყნდეს ამ მოვლენებზე პასუხისმგებელ პირთა სახელები და ისინი საჯაროდ, ღია წესით იქნან გასამართლებული.
2. თათბირი მხარს უჭერს ბელორუსი ხალხის ბრძოლას ნაციონალური ენისა და კულტურის აღორძინებისა და ეროვნული თვითგამორკვევის უფლების აღდგენისათვის. ჩვენ გვაშფოთებს ის გარემოება, რომ ბელორუსი ხელისუფლება ცდილობს ძალის გამოყენებით შეაჩეროს ეროვნული მოძრაობის [illegible] და დააკანონოს კიდეც ეს განუკითხაობა. ჩვენ ვგმობთ ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 30 მარტის დადგენილებას, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს დამოუკიდებელი ინფორმაციის გავრცელებისა და ეროვნული სიმბოლიკის საჯაროდ გამოყენებისათვის. ბელორუსიის ეროვნული მოძრაობის სოლიდარობის ნიშნად, მოვუწოდებთ, 7-9 მაისს ჩატარდეს მიტინგები, დემონსტრაციები ამ ბრძოლის მხარდასაჭერად.
3. თათბირი ადასტურებს თანადგომას ყირიმელ თათართა სამართლიან მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია, თავიანთ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდნენ და აღადგინონ ყირიმის ავტონომიური სსრ. თათბირი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსრკ-ს მთავრობა ყირიმელი თათრების წინააღმდეგ დღემდე ფაქტობრივად გენოციდის პოლიტიკას ატარებს და ყოველნაირ წინააღმდეგობას უწევს მათ სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით.
4. უნიტარული სახელმწიფო არც ახლა ღალატობს თავის არსს და ძველებური ავტორიტარული საშუალებებით მოქმედებს, რომელთა მიზანია დაამციროს თვითგამორკვევისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხები, გააღვივოს ერთაშორისი შუღლი "დაყავი და იბატონე"-ს პრინციპით. ჩვენ მოვითხოვთ სსრკ-ს მთავრობისაგან რეალურ გარანტიებს ერების უფლებათა განხორციელებისაკენ თავისუფალი მოქმედებებისათვის.
5. თათბირი მტკიცე პროტესტს უცხადებს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 8 აპრილის დადგენილებას და თვლის, რომ ეს დადგენილება წარმოადგენს პარტიის ხელისუფლების შენარჩუნებისა და თავისუფალი აზრის, სიტყვისა და პრესის თავისუფლების ჩახშობის დრაკონულ მცდელობას. მოვითხოვთ ამ დადგენილების გაუქმებას.
6. მაშინ, როცა სსრკ-ს მთავრობას საპყრობილიდან არ გაუთავისუფლებია ძველ პოლიტპატიმართა დიდი ნაწილი, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ რეაბილიტაციაზე, ხელისუფლებამ დევნა დაუწყო დამოუკიდებელ მოძრაობათა ახალ წარმომადგენლებს, მათ შორის, "ყარაბაღის" და "კრუნკის" კომიტეტების წევრებს, ქართველ პატრიოტებს და სხვ. მოვითხოვთ ყველა დაპატიმრებულის დაუყონებლივ განთავისუფლებასა და მათ მოქალაქეობრივ უფლებათა აღდგენას.
7. თათბირი მხარს უჭერს 1939 წლის დანაშაულებრივი მახინაციის (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი) მსხვერპლ ხალხთა მოთხოვნას; თათბირი მოითხოვს სსრკ-ს მთავრობისაგან აღნიშნული პაქტის ანულირებას აქედან გამომდინარე შედეგებით; 1939-1940 წლებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან საბჭოთა ჯარების გაყვანას, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენას.
8. 1949 წლის ჟენევის კონვენციის თანახმად, რომელიც კრძალავს ოკუპაციურ არმიაში ოკუპირებულ სახელმწიფოთა მოქალაქეების გაწვევას, თათბირი აცხადებს პროტესტს დაპყრობილ ხალხთა იმპერიის არმიაში სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით.
9. თათბირი მივიდა დასკვნამდე, რომ სსრკ-ში მდგომარეობა დღეისათვის უკიდურესად გამწვავებულია... ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მოქალაქეობრივი ინიციატივის ახალ ფორმებს, როგორიცაა, მაგალითად, ესტონეთისა და ლატვიის დამოუკიდებელ ორგანიზაციათა მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია ჭეშმარიტად დემოკრატიული წარმომადგენლობითი ეროვნული სხდომების (კონგრესების) შექმნისაკენ... სწორედ ასეთი რადიკალური, მაგრამ მშვიდობიანი გზით შეიძლება ერთა თვითგამორკვევისა და ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის მიღწევა.

……………………

თათბირი დარწმუნებულია, რომ თუ სსრკ-ს მთავრობა ზემოაღნიშნულიდან დასკვნებს არ გააკეთებს, მოსალოდნელია კრიზისული მდგომარეობის შემდგომი გამწვავება, საყოველთაო უკმაყოფილების ახალი გამოხატულებანი. იმპერიის ხელისუფლება უკვე უძლურია მოვლენების ამგვარი განვითარების წინაშე. დღევანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ვერ წყვეტს ერთა სასიცოცხლო პრობლემებს. **გამოსავალი კი მხოლოდ ერთია - ნამდვილი პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია, ყველა დემოკრატიული მოძრაობის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა, მრავალპარტიული სისტემა, ერთა თვითგამორკვევის უფლების თავისუფალი გამოხატვა.**

თათბირს ესწრებოდნენ:

საქართველოდან: გიორგი ახალაია, გურამ ჩარხვაძე - ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
ვაჟა ადამია - წმინდა ილია მართლის საზოგადოება
გიორგი ჯინჭარაძე - საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია
ირაკლი მელაშვილი - ეროვნული სამართლიანობის კავშირი
სომხეთიდან: არუთუნიანი ვარდანი, გაბრიელიანი მეხაკი - სომხეთის ეროვნული თვითგამორკვევის გაერთიანება
ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან: ლატვიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის, ჰელსინკი-86, რიგის განყოფილების წარმომადგენლები; ლიტვის ახალგაზრდული ეროვნული კავშირის, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის, ჰელსინკის ჯგუფის, თავისუფლების ლიგის წარმომადგენლები; ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, ისტორიულ სიძველეთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენლები.

თათბირში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ბელორუსიის, უკრაინის, რუსეთის ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ყირიმელი თათრები.

მთ. რედაქტორი ირინა სარიშვილი ტ: 39-79-18